



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბანკარბულება №14

აბაშა, 2019 წლის 22 თებერვალი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ფიზიკური პირი ვანდა მაკალათიასათვის, პირდაპირი ბანკარბულის წესით, სარგებლობის უფლებით, შესაძილო უზუფრუქტის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლისა და 180-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე და 24-ე მუხლების შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა :**

1. მიეცეს თანხმობა აბაშის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასცეს ფიზიკურ პირს ვანდა მაკალათიას (პ/602001009112), აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში უძრავი ქონება: სოფ. სუჯუნაში მდებარე (მიწის (უძრავი) ქონების საკადასტრო კოდი №40.12.31.002), ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე 4 (ოთხი) ოთახი, სასარგებლო ფართობით 61 კვ.მ. 1 (ერთი) წლის ვადით.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
3. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე:

მ. კვიციანიძე